

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2024 წლის 20 თებერვლის წერილი N 21 /1700: ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI-ის“ ორჯაჭვიანი 110 კვ ძაბვის 3.4 კმ სიგრძის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციის პროექტისთვის დასაზუსტებელი საკითხების რეაგირების ცხრილი:

N	შენიშვნა/წინადადება	რეაგირება
1	<p>გზმ-ის ანგარიშში ცხრილის სახით წარმოდგენილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებაში მონაწილე ექსპერტების და კონსულტანტების ჩამონათვალი, ასევე, გზმ-ის ანგარიშის მე-9 თავში მოცემულია დეტალური კვლევების პროცესში ჩართული სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტის, მათ შორის: ეკოლოგის, გეოლოგის, ჰიდროლოგის, ბოტანიკოსის, ზოოლოგის, სოციოლოგის შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი უნდა იყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებაში მონაწილე ექსპერტების და კონსულტანტების ჩამონათვალი, სადაც მოცემული იქნება ყველა ექსპერტის და კონსულტანტის და მათი საექსპერტო სფეროს შესახებ ინფორმაცია.</p>	<p>იხ დანართი N1 ექსპერტთა ნუსხა</p>
2	<p>გზმ-ის ანგარიშის თანახმად, ეგხ-ის ბუფერიდან უახლოესი მანძილი დასახლებულ პუნქტთან (ბაისურას სეზონური დასახლება) შეადგენს 50 მეტრს. ასევე, გზმ-ის ანგარიშში (გვ. 132) აღნიშნულია, რომ საპროექტო ეგხ ბუფერიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი არის ბაისურას სეზონური დასახლება, აღნიშნული ტერიტორია კი ეგხ ბუფერიდან ყველაზე მოკლე მანძილით 20 მეტრით არის დაშორებული. გარდა ამისა, გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ეგხ-ს ბუფერი საცხოვრებელ სახლს არ უახლოვდება 15 მ-ზე ნაკლები მანძილით. შესაბამისად, ელექტროგადამცემი ხაზიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილი საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისი სიტუაციური სქემის წარმოდგენას.</p>	<p>დაზუსტებული და განახლებული შეიპ ფაილების (დანართი.3) მიხედვით დაზუსტდა, რომ ელექტროგადამცემი ხაზის ბუფერი, რომელიც დამყარებულია კომპიუტერულ მოდელირებაზე, ასევე მოიცავს სადენის გადახრის არეალს და მანძილი ბუფერიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან (ბაისურას სეზონური დასახლება) შეადგენს 67 მეტრს. სიტუაციური გეგმა მოცემულია დანართ N2-ში.</p>

3	<p>გზმ-ის ანგარიშის მიხედვით (6.4.2 ქვეთავი) N13 ანძიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი (ბაისურას სეზონური დასახლება) პირდაპირი მანძილით დაშორებულია 150 მეტრით. ასევე, გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია რომ ბაისურას სეზონური დასახლება N13 ანძიდან დაშორებულია 140 მეტრი მანძილით. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.</p>	<p>დაზუსტებული და განახლებული შეიპ ფაილების (დანართი.3) შედეგად დაზუსტდა, რომ N13 ანძიდან, ბაისურას სეზონური დასახლების უახლოესი ნაგებობა პირდაპირი მანძილით დაშორებულია 150 მეტრით. იხილეთ დანართი N2</p>
4	<p>გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სხვადასხვა ინფორმაცია, იმის შესახებ, თუ რა მანძილითაა საპროექტო ტერიტორია დაშორებული მდინარე ბაისურას ღელედან. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ N15 ანძა დაშორებულია მდ. ბაისურას ღელედან დაახლოებით 85 მ-ის მანძილით ჩრდილოეთ-დასავლეთის მიმართულებით. ასევე მითითებულია, რომ N15 ანძიდან მდინარე ბაისურას ღელე პირდაპირი მანძილით 118 მეტრით არის დაშორებული. ზემოაღნიშნული მონაცემები არ ემთხვევა shp ფაილებით წარმოდგენილ მანძილებს.</p>	<p>დაზუსტებული და განახლებული შეიპ ფაილების (დანართი N3) შედეგად დაზუსტდა, რომ N15 ანძა დაშორებულია მდ. ბაისურას ღელედან 92 მ-ის მანძილით ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. იხილეთ დანართ N4 -ში მოცემული სიტუაციური სქემა.</p>

5	<p>გზშ-ის ანგარიშის მიხედვით საპროექტო არეალში, ტაქსაციის ფარგლებში 130 000 მ<sup>2</sup>-ზე აღრიცხული იქნა 1942 ხე, ჯამური მოცულობით 2890.67 მ<sup>3</sup>. დანართის სახით წარმოდგენილია ცხრილი რესურსებზე, რომელშიც ტყეკავის ფართობი, როგორც გზაზე, ასევე ელ. გადამცემ ხაზზე ჯამურად შეადგენს 69,500 მ<sup>2</sup>-ს, რაც ეწინააღმდეგება გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ ფართობს. შესაბამისად, საკითხი საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას.</p>	<p>საბოლოო SHP ფაილების მიხედვით, მერქნული რესურსის აღრიცხვა მოხდა როგორც ტყის ფონდის ტერიტორიაზე, ასევე სახელმწიფოს კუთვნილ დარეგისტრირებულ და დაურეგისტრირებელ ფართობებზე, ასევე შპს „აზერბაიჯანულ-ქართული ბიზნეს ჯგუფის“ სარგებლობაში მყოფ ტერიტორიაზე. გზშ-ს პირველად ჩანაწერში მოცემული იყო ინფორმაცია უშუალოდ ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული მიწების და მათში მხოლოდ ტყით დაფარული ფართობების მითითებით - გადამცემი ხაზის კაბელის მოძრაობის დერეფნის შესაბამისად წარმოდგენილი იქნა ბუფერი, მისასვლელი გზები და სასაწყობე ტერიტორია. სულ აღრიცხა 88 888 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ტერიტორია, რამდენადაც გადამცემი ხაზის ბუფერის ტერიტორია კვეთს დაგეგმილი ბაზვი 1 ჰესის საპროექტო არეალს, 110 კვ გადამცემი ხაზისათვის აღრიცხული ტერიტორია მოიცავს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიას, სახელმწიფოს კუთვნილ დარეგისტრირებულ და დაურეგისტრირებელ მიწებს და შპს „ქართულ-აზერბაიჯანული ჯგუფი“-ს სარგებლობაში მყოფ მიწებს, აქედან, ინფორმაცია სატყეოს მიწების შესახებ წარმოდგენილი იყო გზშ-ს დანართით N 11:</p> <p>ტყის ფონდს მიკუთვნებული ტერიტორია 67 585 კვ.მ.  სახელმწიფოს კუთვნილი დარეგისტრირებული და დაურეგისტრირებული მიწები 14 235 კვ.მ</p> <p>ქართულ-აზერბაიჯანული ჯგუფის ნაკვეთები - 7 068 კვ.მ</p> <p>დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი N5</p>
---	--	--

6	<p>გზშ-ის ანგარიშის თანახმად „ეგხ-ს მშენებლობისას 3,4 კმ. სიგრძის და 15-40 მ სიგანის დერეფანში მოხდება ხე-მცენარეული საფარის ჭრა, თუმცა აღნიშნულ ბუფერში ხე-მცენარეების ჭრა სრულად არ განხორციელდება“. დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ეგხ-ის დერეფნის სიგანე, სადაც გათვალისწინებულია ხე-მცენარეების ჭრა.</p>	<p>საპროექტო დერეფნის (ეგხ-ს ბუფერი) ფართობი შეადგენს 79 194 მ<sup>2</sup>-ს. აღნიშნული ბუფერი მიღებულია გადამცემი ხაზის PLS CADD-ში მოდელირებაზე დაყრდნობით, რომელიც შესაბამისი ანძის ტიპის, გადამცემი ხაზის, მარშრუტის და მსგავსი მახასიათებლების გაანალიზების საფუძველზე ადგენს გადამცემი ხაზის ბუფერს. აღნიშნული ბუფერი წარმოდგენილი არის გზშ-ს ანგარიშთან ერთად, ასევე იხილეთ დანართი N3. რაც შეეხება შეიპს, რომლითაც მოცემული იყო 13 6316 მ<sup>2</sup>, წარმოადგენს გადამცემი ხაზის შეზღუდვის არეალს. რაც შეეხება შეიპს, რომლის ფართობიც 136 316 მ<sup>2</sup>-ია, წარმოადგენს გადამცემი ხაზის შეზღუდვის არეალს და არა სამშენებლო ბუფერს. ინფორმაცია აღრიცხული მერქნული რესურსის შესახებ მოცემულია გზშ-ს ანგარიშში 6.8.2.1, წარმოდგენილ დანართ N5-ში მოცემულია ინფორმაცია როგორც ტყის ფონდის, ასევე კერძო და სახელმწიფო მიწის ნაკვეთების აღრიცხვის თაობაზე. უშუალოდ მოსაჭრელი ხეების რაოდენობა და ზუსტი ადგილმდებარეობა დაზუსტდება სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, მშენებლობის განმახორციელებლის მიერ.</p>
7	<p>გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო დერეფანი, რომლის ჯამური ფართობი შეადგენს 79193 მ<sup>2</sup>-ს, ნაწილობრივ ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოსა და შპს „აზერბაიჯანულ-ქართული ბიზნეს ჯგუფის“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, მაშინ როდესაც წარმოდგენილი shp ფაილებით, საპროექტო დერეფნის (ეგხ-ს ბუფერი) ფართობი შეადგენს 136316 მ<sup>2</sup>-ს. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.</p>	<p>საპროექტო დერეფნის (ეგხ-ს ბუფერი) ფართობი შეადგენს 79 194 მ<sup>2</sup>-ს. აღნიშნული ბუფერი მიღებულია გადამცემი ხაზის PLS CADD-ში მოდელირებაზე დაყრდნობით, რომელიც შესაბამისი ანძის ტიპის, გადამცემი ხაზის, მარშრუტის და მსგავსი მახასიათებლების გაანალიზების საფუძველზე ადგენს გადამცემი ხაზის ბუფერს. აღნიშნული ბუფერი წარმოდგენილი არის გზშ-ს ანგარიშთან ერთად, ასევე იხილეთ დანართი N3. რაც შეეხება შეიპს, რომლის ფართობიც 136 316 მ<sup>2</sup>-ია, წარმოადგენს გადამცემი ხაზის შეზღუდვის არეალს და არა სამშენებლო ბუფერს. ინფორმაცია მოცემულია გზშ-ს ანგარიშში თავი 3.2</p>

8	<p>გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია ფრინველთა დამაფრთხოებლების ე.წ ჩიტამრიდების მოწყობის შესახებ;</p>	<p>საპროექტო ეგზ იქნება 110 კვ ძაბვის. სტატისტიკის მიხედვით ასეთი ტიპის ეგზ-ებთან ფრინველების შეჯახების შემთხვევები არ არის მაღალი. ამასთან ერთად ეგზ-ს განლაგების დერეფნის უმეტეს ნაწილზე, ორივე მხარეს წარმოდგენილია ერთგვაროვანი ჰაბიტატი, რაც იმის მანიშნებელია, რომ იგი არ შექმნის მნიშვნელოვან ბარიერს საარსებო გარემოს სხვადასხვა კომპონენტებს შორის. გამომდინარე აქედან, ჩიტამრიდების დამონტაჟება მოხდება ხევების კვეთის ადგილზე, ჯამში სულ 3 ლოკაციაზე.</p> <p>სქემა იხილეთ დანართში N7.</p> <p>ჩიტამრიდების განთავსების GPS კოორდინატები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. X-274056, Y: 4637872;</li> <li>2. X-273217, Y: 4638688;</li> <li>3. X-272862, Y: 4638702.</li> </ol>
---	---	--

9	<p>წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია იმ ჰაბიტატების შესახებ, რომლებიც ხეების ჭრის შედეგად მოსალოდნელ ზემოქმედებას (განადგურება, დეგრადაცია, ფრაგმენტაცია) დაექვემდებარება და ასევე, იმ ცხოველთა სახეობებზე, რომლებიც გვხვდებიან მითითებულ ჰაბიტატებში. აღნიშნული საკითხისათვის ასევე, საჭიროა წარმოდგენილი იყოს საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი.</p>	<p>დაკვირვების შედეგად საკვლევ არეალზე არსებული ჰაბიტატებიდან დაფიქსირდა მცენარეულობის 5 ძირითადი ტიპი, კერძოდ:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. მურყნიანი გვიმრის ქვეტყით;</li> <li>2. წიფნლარი შქერის ქვეტყით;</li> <li>3. წიფლნარი მკვდარსაფრიანი;</li> <li>4. სოჭნარ-ნამენარი;</li> <li>5. სუბალპური მდელო</li> </ol> <p>ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში N6.</p> <p>ტაქსაციის ფარგლებში, როგორც გზაზე ასევე ელ. გადამცემ ხაზზე აღრიცხული მერქნული რესურსებიდან მოხდება მხოლოდ წიფლის ჭრა.</p> <p>რამდენადაც 110 კვ-იანი საჰაერო ხაზის პროექტი წარმოადგენს ბაზვი 1 ჰესის პროექტის მიმდებარე პროექტს, დაშვებული იქნა განხილვა, რომ ბაზვი 1 ჰესის საკომპენსაციო პაკეტი უზრუნველყოფს საკომპენსაციო ღონისძიებებს 110 კვ საჰაერო ხაზის პროექტისათვის, აღნიშნული ღონისძიებები ითვალისწინებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ჰაბიტატის აღდგენის მიზნით დაგეგმილ 20 ჰა ფართობზე ტყის განაშენიანებას</li> </ul> <p>ტყის აღდგენა დაგეგმილია გურიის სატყეო სამსახურის, ჩოხატაურის სატყეო უბნის ბახმაროს სატყეოს #12 კვარტლის #12,13,15,17 ლიტერებში, 20.0 ჰექტარ ფართობზე.</p> <p>საპროექტო ტერიტორია შეირჩა დამკვეთი ორგანიზაციისა და ა(ა)იპ ეკოლუმენ საქართველოს ექსპერტების მიერ შესაბამისი კვლევებისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტთან კონსულტაციების საფუძველზე. სამიზნე ფართობის შერჩევისას გათვალისწინებული იქნა როგორც ეკოლოგიური, ასევე სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები.</p> <p>დაგეგმილი სამუშაოების მასშტაბიდან გამომდინარე და ასევე იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ეგზ-ს მშენებლობის დასრულების შემდეგ მინიმალურად იქნება ადამიანის და მისი ინფრასტრუქტურის ზემოქმედება</p>
---	---	---

		<p>საპროექტო ტერიტორიაზე, შესაძლებელია ითქვას, რომ საკომპენსაციო ღონისძიებების დასრულების შედეგად მიღწეული იქნება ჰაბიტატების ნულოვანი კარგვა. იხ. დანართი N13 - ბიომრავალფეროვნების საკომპენსაციო ღონისძიებები და განხორციელების გეგმა გრაფიკი</p>
--	--	---

10	<p>წარმოდგენილი უნდა იყოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება ფასკუნჯების, ასევე საპროექტო ტერიტორიაზე სხვა „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობების განსაკუთრებით მაღალი კონცენტრაციის გავრცელების ტერიტორიაზე მონიტორინგის საკითხი, ექსპლუატაციის ეტაპზე 5 წლის განმავლობაში ფრინველებზე, მათ შორის ხელფრთიანებზე დაკვირვების, ხოლო მონიტორინგის ანგარიშების შედეგებზე დაყრდნობით, შემდგომი დაკვირვების გაგრძელების საჭიროების საკითხი, ასევე მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით რეკომენდაციებისა და დამატებითი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრის საკითხი. მონიტორინგის გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე, ექსპლუატაციის ეტაპისთვის შემარბილებელი ღონისძიებების (განსაკუთრებით ფრინველთა დამაფრთხობლების ე.წ ჩიტამრიდების) ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხი.</p>	<p>იხ. დანართი N7 ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა</p>
----	---	--

<p>11</p>	<p>გზშ-ის ანგარიშის 5.2.8 თავში წარმოდგენილია ჰიდროლოგია, სადაც მოცემულია მდინარე ბახვისწყალზე მოსაწყობი საპროექტო ჰესის დერივაციის გადამკვეთი ხეხვის მაქსიმალური ხარჯების შესახებ ინფორმაცია. ასევე, აღნიშნულია, რომ მდინარე ბახვისწყალზე მარცხენა შენაკადი, რომელიც კვეთს საპროექტო ჰესის დერივაციას, არ არის შესწავლილი ჰიდროლოგიური თვალსაზრისით. ზემოაღნიშნულ ქვეთავში მოცემული ჰიდროლოგიური მონაცემები განხილულია ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტისათვის და არ ეხება გზშ-ის ანგარიშით წარმოდგენილ 10 კვ ძაბვის 3.4 კმ სიგრძის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის პროექტს. შესაბამისად გზშ-ის ანგარიშის ჰიდროლოგიური ნაწილი საჭიროებს დაზუსტებას.</p>	<p>მდინარე ბახვისწყალი სათავეს იღებს აჭარა-თრიალეთის მთიანი სისტემის ჩრდილო კალთებზე, 2450 მეტრის სიმაღლეზე და ერთვის მდ. სუფსას სოფელ ნასაკირალთან მარცხენა მხრიდან 42 კმ-ზე მისი შესართავიდან.</p> <p>მდინარის სიგრძე 48 კმ-ია, საერთო ვარდნა 2450-45=2405 მეტრი, საშუალო ქანობი <math>2405:48000=0,05=5\%</math>. მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობი 89 კმ<sup>2</sup>-ი, აუზის საშუალო სიმაღლე კი 1195 მეტრია. მდინარეს ერთვის სხვადასხვა რიგის ხეხვები - მდ. ფაფარას, მდ. ჭიდილასხევი და სხვა, საერთო სიგრძით 46 კმ.</p> <p>მდინარის აუზის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ ქვიშაქვები, თიხაფიქლები, მერგელები და კირქვები, რომლებიც გადაფარულია ადვილად შლადი თიხნარი ნიადაგებით. აუზი, მდინარის სათავეებში დაფარულია წიწვოვანი ტყით და ბუჩქნარით, ქვემოთ კი თითქმის მთლიანად მეჩხერი ფოთლოვანი ტყით და ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით.</p> <p>მდინარე მიეკუთვნება შავი ზღვისპირა მთის მდინარეების ტიპს, რომლებიც ხასიათდებიან წყალმოვარდნებით მთელი წლის განმავლობაში. წყალდიდობა, რომელიც გამოწვეულია სეზონური თოვლის დნობით, არამკაფიოდ აღინიშნება მდინარის სათავეებში. მდინარის შუა და ქვემო დინებაში ადგილი აქვს წვიმებით გამოწვეულ წყალმოვარდნებს.</p> <p>მდინარე ძირითადად საზრდოობს წვიმის წყლით. თოვლის მდნარი და გრუნტის წყლები მდინარის საზრდოობაში უმნიშვნელო როლს ასრულებენ. მდინარის ძირითადი ჩამონადენი აღინიშნება გაზაფხულზე, როდესაც ჩამოედინება წლიური ჩამონადენის: 40% ჩამოედინება ზაფხულში; 45 % შემოდგომაზე; 5% ზამთარში; 10% გაზაფხულზე.</p> <p>მდინარეზე ყინულოვანი მოვლენები აღინიშნება მხოლოდ სათავეებში, ქვემოთ კი ყინულოვანი მოვლენები არ ფიქსირდება.</p> <p>სათავეებში მდინარის წყალი, გამჭვირვალე და სასმელად ვარგისია. ქვემოთ იგი დაბინძურებულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ჩაყრილი საყოფაცხოვრებო ნარჩენებით.</p>
-----------	---	--

გადამკვეთი ხევების სქემა მოცემულია დანართში N8  
მდინარე ბახვისწყალის შენაკადი ხაზის დერეფნის გადამკვეთი ხევების  
მაქსიმალური ხარჯები

მდინარე ბახვისწყლის მარცხენა შენაკადის ხევები, რომლებიც კვეთენ საპროექტო 110 კვ-იანი ხაზის ბუფერს, არ არიან შესწავლილი ჰიდროლოგიური თვალსაზრისით. ამიტომ მათი წყლის მაქსიმალური ხარჯები დერივაციის გადაკვეთებზე დადგენილია მეთოდით, რომელიც მოცემულია „კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკური მითითებით“.

აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული მეთოდი წყლის მაქსიმალური ხარჯების 5-10%-ით მაღალ მნიშვნელობებს იძლევა, ვიდრე СНиПС2.01.14-83-ში („Определение расчетных Гидрологических Характеристик“) მოცემული ზღვრული ინტენსივობის ფორმულა, რომელიც გამოყვანილია ყოფილი სსრ კავშირის მდინარეებისთვის გასული საუკუნის 60-იან წლებში. ზღვრული ინტენსივობის ფორმულა არ ითვალისწინებს ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიმდინარე კლიმატის გლობალურ ცვლილებებს და მასთან დაკავშირებული ნალექების გაზრდილ ინტენსივობას, რაც შესაბამისად აისახება ზღვრული ინტენსივობის ფორმულით მიღებული ხარჯების დაბალ სიდიდეებზე. კლიმატის გლობალური ცვლილებების ფონზე ნალექების გაზრდილი ინტენსივობისა და შესაბამისად მაქსიმალური ხარჯების გაზრდილი მაჩვენებლების გათვალისწინებით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება წყლის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშო სიდიდეების დადგენის შესახებ ტექნიკურ მითითებაში მოცემული მეთოდით. აღნიშნული მეთოდი კარგად აპრობირებულია საქართველოს პირობებში და პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე აკმაყოფილებს კლიმატის ცვლილებებით გამოწვეულ თანამედროვე პირობებს.

აღნიშნული მეთოდის თანახმად, წყლის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები იმ მდინარეებზე და ხევებზე, რომელთა წყალშემკრები აუზის ფართობი არ

აღმატება 300 კმ<sup>2</sup>-ს, იანგარიშება ფორმულით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია

$$Q = R \cdot \left[ \frac{F^{2/3} \cdot K^{1,35} \cdot \tau^{0,38} \cdot \bar{i}^{0,125}}{(L+10)^{0,44}} \right] \cdot \Pi \cdot \lambda \cdot \delta$$

მ<sup>3</sup>/წმ

სადაც  $\Pi$  - რაიონული პარამეტრია. მისი მნიშვნელობა დასავლეთ საქართველოს პირობებში მიღებულია 1,35-ის ტოლი;

- წყალშემკრები აუზის ფართობია საპროექტო კვეთში კმ<sup>2</sup>-ში;
- რაიონის კლიმატური კოეფიციენტი, რომლის მნიშვნელობა აიღება სპეციალური რუკიდან და ჩვენ შემთხვევაში მიღებულია 6,5-ის ტოლი;
- განმეორებადობა წლებში;
- მდინარის ან ხევის კალაპოტის გაწონასწორებული ქანობა ერთეულებში სათავიდან საპროექტო კვეთამდე;
- მდინარის ან ხევის სიგრძეა სათავიდან საპროექტო კვეთამდე კმ-ში;

- მდინარის ან ხევის აუზში არსებული ნიადაგის საფარველის მახასიათებელი კოეფიციენტი. მისი სიდიდე აიღება სპეციალური რუკიდან და შესაბამისი ცხრილიდან; ჩვენ შემთხვევაში =1,0;

- აუზის ტყიანობის კოეფიციენტი, რომლის სიდიდე იანგარიშება გამოსახულებით

$$\lambda = \frac{1}{1 + 0,2 \cdot \frac{F_t}{F}}$$

აქ - აუზის ტყით დაფარული ფართობია %-ში; ჩვენ შემთხვევაში ხევების აუზები დაახლოებით 100%-ით დაფარულია ტყით. აქედან  $\delta = 0,83$ -ს ყველა ხევისთვის;

-აუზის ფორმის კოეფიციენტი. მისი მნიშვნელობა მიიღება გამოსახულებით

$$\delta = 0,25 \cdot \frac{B_{\max}}{B_{sas}} + 0,75$$

სადაც  $B_{\max}$  - აუზის მაქსიმალური სიგანეა კმ-ში;

$B_{sas}$  - აუზის საშუალო სიგანეა კმ-ში. მისი მნიშვნელობა მიიღება

$$B_{sas} = \frac{F}{L}$$

დამოკიდებულებით

იმ მცირე ხევების წყლის მაქსიმალური ხარჯების გაანგარიშებისას, რომელთა წყალშემკრები აუზის ფართობები ნაკლებია 5კმ<sup>2</sup>-ზე, ზემოთ განხილულ ფორმულაში დამატებით შედის წყალშემკრები აუზის ფართობების შესაბამისი, სპეციალურად დამუშავებული ქვემოთ მოყვანილი კოეფიციენტები

კმ <sup>2</sup>	<1	1	2	3	4	5
I	0.70	0.80	0.83	0.87	0.93	1.00

ჩვენ შემთხვევაში 16 ხევიდან არც ერთის ფართობი არ აღემატება 1-ს. ამიტომ გაანგარიშებებში მიღებულია  $I=0,70$ -ს.

გადამკვეთი ხეების წყლის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშოდ საჭირო მორფომეტრიული ელემენტების მნიშვნელობები, დადგენილია 1:10000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით, ასევე ზემოთ მოყვანილი ფორმულით გაანგარიშებული სხვადასხვა განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები, მოცემულია ქვემოთ, # 5. 2.1 ცხრილში.

*ცხრილი N1 მდინარე ბახვისწყლის შენაკადი ხეები , რომელიც კვეთს ასევე საჰაერო ხაზის მარშრუტს წყლის მაქსიმალური ხარჯები მ3/წმ-ში*

ხეის #	კმ²	კმ	კალ					მაქსიმალური ხარჯები				
								200 წე ლს	100 წე ლს	33 წე ლს	20 წე ლს	10 წე ლს
ხეი N30	0,566	1,46	0,410	0,83	1,01	6,50	1,00	13, 3	11, 5	7,5 6	6,2 4	4,8 0
ხეი N31	0,898	2,02	0,322	0,83	1,03	6,50	1,00	17, 6	15, 2	9,9 9	8,2 5	6,3 4

მიღებული ინფორმაციის და ანძების განთავსების ადგილების გათვალისწინებით, ანძებზე ჰიდროლოგიური ზემოქმედების შანსი თითქმის გამორიცხულია.

<p>12</p>	<p>გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საპროექტო საყრდენი №1 ანმა განთავსდება მდ. ბახვისწყალის მარცხენა ნაპირზე, მდინარიდან 20 მ-ის დაშორებით, ამასთან ელექტრონული გადამოწმებით, №2 საპროექტო ანმიდან მდინარე ბახვისწყალი დაშორებულია დაახლოებით 15 მეტრით. შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიაზე მდინარე ბახვისწყლის ჰიდროლოგიური ანგარიში და შეფასდეს ზემოქმედება ზემოაღნიშნულ ანძებთან მიმართებით, ასევე მოცემული უნდა იყოს ანძების დაცვის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.</p>	<p>საყრდენი №1 ანმა განთავსდება მდ. ბახვისწყლის მარცხენა ნაპირზე, მდინარიდან 20 მ-ის დაშორებით, ხოლო №2 საპროექტო ანმიდან მდინარე ბახვისწყალი დაშორებულია დაახლოებით 140 მეტრით, №2 ანმა მდებარეობს ზღვის დონიდან 1502.0 მეტრ სიმაღლეზე. იხილეთ დანართი N10.</p> <p>110 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობა დაგეგმილია ბაზი 1 ჰესის შენობის გვერდით, მიმდებარე ტერიტორიაზე, ხელოვნურად შექმნილ მოედანზე, რომლის ზომები იქნება: სიგრძე 80 მ და სიგანე 50 მ. ქვესადგურისათვის შერჩეული ტერიტორიის მომზადების მიზნით გათვალისწინებულია ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა, ხოლო ტერიტორიის გეგმარება მოხდება ჰესის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ექსკავირებული ქანებით. იხ დანართი N11</p> <p>ქვესადგურთან მდინარის კალაპოტის ბუნებრივი ნიშნული 1395 მ-ია, ხოლო N1 ანძის განთავსების ნიშნული 1404 მ. მდ. ბახვისწყლის მარცხენა ნაპირზე ჭალის-ზედა ტერასაზე (X - 272413.3945; Y - 4639165.4795), ხოლო N15 ანმა განთავსდება ზ.დ. 1846.7 მ-ს სიმაღლეზე მდ. ბაისურას ღელედან მარცხენა ნაპირზე. ანძების განთავსების სიმაღლეთა სხვაობისა და დაშორების გათვალისწინებით, მდინარის აქტიურ კალაპოტში ელექტროგადამცემი ანძების განთავსება დაგეგმილი არ არის. ქვესადგურის დაცვისათვის მოეწყობა საყრდენი კედელი, და მოხდება ნაყარი მასით შევსება და დატკეპნა.</p> <p>პროექტის მიხედვით, ბაზი 1 ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ელექტროსისტემაში მიწოდებისათვის გათვალისწინებულია 10.5/35 კვ ძაბვის ორი ტრანსფორმატორის მოწყობა, რომელიც ბაზი 1 ჰესის 10.5 კვ საგენერატორო ძაბვას გარდაქმნის 35 კვ ძაბვად და განთავსებული იქნება ჰესის შენობის გარე ტერიტორიაზე, საიდანაც ელექტროენერჯის ქსელთან ინტეგრირება მოხდება ჰესის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილი 110 კვ ძაბვის ქვესადგურში. ქვესადგურის სქემა მოცემულია დანართში N11</p>
-----------	---	---

ცხრილი N2 საყრდენების ინფორმაცია.

საყრდენის ნომერი	საყრდენის ტიპი	X	Y	Z
1	Y220-2+5 კუთხურ- ანკერული	272413.3945	4639165.4795	1404
2	YC110-6 კუთხურ- ანკერული	272507.3005	4639029.854	1502
3	YC110-6 კუთხურ- ანკერული	272606.4775	4638917.0145	1558
4	YC110-6 კუთხურ- ანკერული	272715.861	4638783.1435	1618
5	Y220-2+9 კუთხურ- ანკერული	273008.395	4638621.0325	1699
6	YC110-6 კუთხურ- ანკერული	273262.462	4638703.284	1721
7	Y220-2+9 კუთხურ- ანკერული	273438.42	4638667.376	1802
8	Y110-2+9 კუთხურ- ანკერული	273585.931	4638364.8875	1907
9	Y110-2+14 კუთხურ- ანკერული	273755.13	4638110.89	1984
10	YC110-6 კუთხურ- ანკერული	273903.9165	4637976.0355	2019
11	YC110-6 კუთხურ- ანკერული	274132.167	4637821.124	2012
12	Y220-2+9 კუთხურ- ანკერული	274427.5175	4637773.8625	1961
13	YC110-6 კუთხურ- ანკერული	274605.87	4637493.8625	1925

		14	YC110-6	კუთხურ- ანკერული	274746.7435	4637294.0015	1880
		15	Y110-2+9	კუთხურ- ანკერული	274818.4	4637231.26	1852

<p>13</p>	<p>გზშ-ის ანგარიშში 6.16 თავში კუმულაციური ზემოქმედების ნაწილში აღნიშნულია, რომ 110 კვ-იანი ეგბ-ს მიერთება დაგეგმილია ოზურგეთი-ზოტის 110 კვ-იანი ეგბ-ზე, რომელიც უკვე დაპროექტებულია და სავარაუდოდ სამშენებლო სამუშაოები 2024 წლის გაზაფხულზე დაიწყება, ხოლო 110 კვ საჰაერო ორჯაჭვიანი ეგბ „ბახვი 1-2“-ის მშენებლობა დაგეგმილია 2024 წლის მაისიდან დეკემბრის ჩათვლით. მშენებლობის პერიოდიდან გამომდინარე, მშენებლობის პროცესში კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან სამშენებლო სამუშაოები დროში არ დაემთხვევა ერთმანეთს. ვინაიდან ეგბ-ების მშენებლობა 2024 წლის გაზაფხულის პერიოდში იგეგმება დაზუსტებას საჭიროებს კუმულაციური ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია.</p>	<p>ოზურგეთი-ზოტის ხაზის პირველ მონაკვეთზე 30 ანძაზე დაწყებულია მშენებლობა, ხუთი ანძის ფუნდამენტი უკვე გამზადებულია/ჩადებულია და მიმდინარეობს სამუშაოები, მისი დასრულება 2025 წლის ბოლოს არის დაგეგმილი. რაც შეეხება 110 კვ საჰაერო ორჯაჭვიანი ეგბ „ბახვი 1-2“-ის მშენებლობას, დაიწყება გაზაფხულის ბოლოს-ზაფხულის დასაწყისში.</p> <p>ბახვი 110 კვ-იანი ეგბ-ს მშენებლობისთვის გამოყენებული იქნება ბახვი 1 ჰესის პროექტისთვის გათვალისწინებული მისასვლელი გზები და ასევე დამატებით აღნიშნული ბახვი 110 კვ-იანი ეგბ-ს პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული მისასვლელი გზები.</p> <p>ოზურგეთი-ზოტის 110 კვ-იანი ეგბ-ს პროექტის განხორციელებისას ზემოთაღნიშნული ბახვი 110 კვ-იანი ეგბ-ს მისასვლელი გზები გამოყენებული არ იქნება. გამომდინარე აქედან, კუმულაციური ზემოქმედება ამ კუთხით მოსალოდნელი არ არის.</p> <p>ძირითად კუმულაციურ ზემოქმედებად შესაძლოა, განხილული იყოს მძიმე ტექნიკის მუშაობის შედეგად წარმოქმნილი გაფრქვევები და ხმაურის გავრცელება, მაგრამ შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით არ იქნება მნიშვნელოვანი. ასევე აღანიშნავია ის ფაქტი, რომ გზშ-ს - ანგარიშში თავი -6.3.3 შემარბილებელი ღონისძიებების მიხედვით:</p> <p>მშენებლობის ფაზაზე ხმაურის გავრცელების დონეების მინიმუმაციის მიზნით გატარდება შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;</li> <li>• სამუშაოების წარმოება მხოლოდ დღის საათებში;</li> <li>• ხმაურიანი დანადგარ-მექანიზმების განლაგება მგრძობიარე რეცეპტორებისგან (საცხოვრებელი სახლები) მოშორებით;</li> <li>• ხმაურის შემცირების ღონისძიებების (სიგნალის, ჩართული ძრავით მანქანის გაჩერების აკრძალვა, და სხვ) შესრულება;</li> <li>• საჭიროებისამებრ, პერსონალის უზრუნველყოფა პირადი დაცვის საშუალებებით (ხმაურის დამხშობი);</li> <li>• ხმაურიან სამუშაოებზე დასაქმებული პერსონალის ხშირი ცვლა;</li> </ul>
-----------	---	---

		<ul style="list-style-type: none"><li>• პერსონალის ინსტრუქტაჟი სამუშაოების დაწყებამდე;</li><li>• სენსიტიურ მონაკვეთებზე მოძრაობის სიჩქარეების შეზღუდვა, რათა მინიმუმამდე დავიდეს ხმაურით და ვიბრაციით გამოწვეული ზემოქმედების რისკები მოსახლეობაზე;</li><li>• საჩივრების მექანიზმის დანერგვა. საჩივრების არსებობის შემთხვევაში მათი დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება ამ მიმართულებით მონიტორინგის წარმოებას და მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა</li></ul>
--	--	--

<p>14</p>	<p>სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცნობით, საპროექტო მონაკვეთი არ მდებარეობს დაცული ტერიტორიის საზღვრებში, თუმცა ობიექტი მდებარეობს გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიების საკვლევ არეალში. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე იგეგმება გურიაში ეროვნული პარკის დაარსება, საჭაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობამ და ექსპლუატაციამ ხელი არ უნდა შეუშალოს დაცული ტერიტორიის დაარსებას. ასევე, პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევების, მშენებლობის, ფუნქციონირებისა და შემარბილებელი ღონისძიების დროს მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება და გამოყენებულ იქნას ის სტანდარტები, რომელიც ითვალისწინებს დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებას. ზემოაღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იყოს და შესაბამისი ინფორმაცია დოკუმენტაციაში ასახული.</p>	<p>საპროექტო ტერიტორია მდებარეობს გურიის გეგმარებითი დაცული ტერიტორიების საკვლევ არეალში. საჭაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია ხელს არ უშლის დაცული ტერიტორიის დაარსებას, შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროექტის გავლენის ზონაში ჩატარებული დეტალური კვლევის შედეგების მიხედვით, პროექტის გავლენის ზონაში კრიტიკული ჰაბიტატები დაფიქსირებული არ არის.</li> <li>• პროექტის გავლენის ზონაში ჩატარებული დეტალური კვლევის შედეგების მიხედვით, პროექტის გავლენის ზონაში კრიტიკული ჰაბიტატები დაფიქსირებული არ არის და მცენარეთა სახეობებზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.</li> <li>• საპროექტო დერეფნის დაახლოებით ნახევარი ექცევა ანთროპოგენური ზემოქმედების ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე და/ან მათ მახლობლად. ბაისურას სეზონური, დროებითი დასახლების მიმდებარე ტერიტორიებზე ჩანს ანთროპოგენური ზემოქმედების კვალი - დროებითი საცხოვრებლები, სამოვრები და გადამოვების კვალი, ასევე ტყის მონაკვეთებზე ხე-ტყის მოპოვების კვალი.</li> <li>• სამშენებლო სამუშაოები არ იქნება ხანგრძლივ ვადიანი;</li> <li>• სამშენებლო სამუშაოების პროცესში მინიმალური იქნება ხმაურის და მტვრის გავრცელება, გზშ-ს ანგარიშში თავი 6.3.3 მითითებული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით.</li> <li>• ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლებელი იქნება გადამცემი ხაზის ბუფერში მცენარეული საფარის აღდგენა, მხოლოდ უსაფრთხოების პირობების დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ არ მოხდება ხე-ტყის სრულად გაჩეხვა, არამედ მოხდება გადაბელვა, რომ შენარჩუნდეს უსაფრთხო არეალი ხაზსა და მცენარეებს შორის.</li> <li>• სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI ითანამშრომლებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან და ბუნების მსოფლიო ფონდთან (WWF) და გათვალისწინებული იქნება ყველა ის რეკომენდაცია, რაც დადგენილი იქნება ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესში. ნიშანდობლივია, რომ მსგავსი ტიპის</li> </ul>
-----------	---	--

		<p>თანამშრომლობა აპრობირებული მიდგომაა ევროპაში, კერძოდ კი, დაცული ტერიტორიების და ბიზნეს სექტორის თანამშრომლობა, რაც ხელს უწყობს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის განხორციელებას და სარგებლის გაზრდას კონკრეტული რეგიონის მოსახლეობისათვის.</p> <p>პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევების, მშენებლობის, ფუნქციონირებისა და შემარბილებელი ღონისძიების დროს მინიმუმამდე იქნება დაყვანილი გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება და გამოყენებული იქნება ის სტანდარტები, რომელიც ითვალისწინებს დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებას.</p>
--	--	--

15	<p>გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ეგზ-ის დერეფანი შეადგენს 50 მეტრს, ასევე ზოგან აღნიშნულია, რომ ეგზ-ს ბუფერი 40 მეტრია, ამასთან, shp ფაილებით ანძების განთავსების დერეფანში საპროექტო 40 მეტრიანი ბუფერია წარმოდგენილი. აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებული მონაცემების წარმოდგენას;</p>	<p>აღნიშნული ბუფერი მიღებულია გადამცემი ხაზის PLS CADD-ში მოდელირებაზე დაყრდნობით, რომელიც შესაბამისი ანძის ტიპის, გადამცემი ხაზის, მარშრუტის და მსგავსი მახასიათებლების გაანალიზების საფუძველზე ადგენს გადამცემი ხაზის ბუფერს. წარმოდგენილი შეიპ ფაილების მიხედვით, საპროექტო ეგზ-ის დერეფანი იცვლება და შეადგენს 15-40 მეტრს. იხილეთ SHP ფაილები - დანართი N3</p>
16	<p>გზმ-ის ანგარიშის მიხედვით, საველე კვლევების დროს ვერ მოხერხდა წავის (Lutra lutra) ან წავის ცხოველთქმედების კვალის პოვნა. <b>საპროექტო ტერიტორიაზე, კერძოდ კი ძალურ კვანძთან</b> 2021 წელს ჩატარებული კვლევების დროს დაფიქსირდა წავის ცხოველთქმედების კვალი. ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილია ორჯაჭვიანი 110 კვ ძაბვის 3,4 კმ სიგრძის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის და არა ჰესის მშენებლობა და ექსპლუატაცია, ძალური კვანძისა და ზემოაღნიშნული კვლევების შესახებ ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას.</p>	<p>როგორც გზმ-ს ანგარიშში იქნა აღნიშნული, 110 კვ საჰაერო გადამცემი ხაზის მარშრუტის კვლევის დროს, საპროექტო არეალში წავის ცხოველთქმედების კვალი არ დაფიქსირებულა, ამასთანავე საპროექტო არეალი არ წარმოადგენს წავისათვის იდეალურ ჰაბიტატს, რამდენადაც იგი უპირატესობას ანიჭებს ტყის მდინარეების სანაპიროებს, ხოლო გადამცემი ხაზის პროექტი მოიცავს ალპურ მინდვრებს და ტყეებს. მხოლოდ მისი ბოლო ნაწილი, რომელიც მდ. ბახვისწყლის ნაპირზე ქვესადგურთან ეშვება, უახლოვდება მის საბინადრო გარემოს. შესაბამისად ლიტერატურულ მასალად გამოყენებული იქნა 2021 წელს ბახვი 2 ჰესის პროექტის გზმ-ს ანგარიში. ასევე დანართ N12-ში წარმოდგენილია 2022 წელს განხორციელებული წავის კვლევის ანგარიში, რომლის ფარგლებშიც, ქართველი ექსპერტის ნიკო ქერდიყოშვილის მიერ მოხდა ბახვი 2 და ბახვი 1 ჰესებს შორის არსებული მდინარე ბახვისწყლის მონაკვეთში წავის პოპულაციის კვლევა და შეფასება.</p>

17	<p>გზშ-ის ანგარიშში ცხრილის სახით წარმოდგენილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებაში მონაწილე ექსპერტების და კონსულტანტების ჩამონათვალი, ასევე, გზშ-ის ანგარიშის მე-9 თავში მოცემულია დეტალური კვლევების პროცესში ჩართული სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტის, მათ შორის: ეკოლოგის, გეოლოგის, ჰიდროლოგის, ბოტანიკოსის, ზოოლოგის, სოციოლოგის შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი უნდა იყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებაში მონაწილე ექსპერტების და კონსულტანტების ჩამონათვალი, სადაც მოცემული იქნება ყველა ექსპერტის და კონსულტანტის და მათი საექსპერტო სფეროს შესახებ ინფორმაცია;</p>	იხილეთ დანართი N1
18	<p>გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო უბანზე გათვალისწინებულია 15 საყრდენის მონტაჟი, ხოლო Shp ფაილებით წარმოდგენილია 16 საყრდენი. საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და კორექტირებას.</p>	<p>საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო უბანზე გათვალისწინებულია 15 საყრდენის მონტაჟი. იხილეთ დაზუსტებული შეიკ ფაილები დანართში N3</p>

<p>19</p>	<p>გზმ-ის ანგარიშის 1.1 თავში მოცემული ჩანაწერი „ცხრილი წარმოდგენილია სემეკის მიერ, რომელშიც დათვლილია საქართველოს 10 წლიანი გადამცემი ქსელი 2023-2023 გეგმის მიხედვით” საჭიროებს დაზუსტებას;</p>	<p>ელექტროენერგეტიკა არის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც უდიდესი გავლენა აქვს სოციალურ სფეროსა და საქართველოს მოსახლეობაზე. ამიტომ ელექტროენერგეტიკის ინფრასტრუქტურის განვითარება არის ქვეყნის სტრატეგიული მნიშვნელობის ამოცანა. ის ახალი შესაძლებლობები, რომელიც გაჩნდა მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერჯის ვაჭრობის მხრივ, ქვეყნის მოხმარების ზრდის მაღალი დონე და ასაშენებელი ელ. სადგურებიდან სიმძლავრის გამოტანის უზრუნველყოფა აუცილებელს ხდის გადაცემის ინფრასტრუქტურაში ინვესტირებას. ეს ინვესტიციები უნდა განხორციელდეს, რათა დაკმაყოფილებული იქნას ქსელის განვითარების ადეკვატურობის პირობა. აღნიშნული პირობა გულისხმობს ისეთი გადამცემი ქსელის არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს გენერაციის და მოხმარების ზრდის თანმიმდევრულად, ელექტროენერჯის საიმედო და უსაფრთხო მანერით ტრანსპორტირებას, ისე, რომ გადამცემი ქსელის რომელიმე ელემენტის გამორთვა არ იწვევდეს ამ ტრანსპორტირების შეფერხებას. საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა ეს არის ქვეყნის გადამცემი ქსელის ინფრასტრუქტურის გაძლიერების დროში გაწერილი პროგრამა, რომელიც წარმოადგენს პასუხს არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, მომავალი გამოწვევების საპასუხოდ და შესაძლებლობების განსახორციელებლად. ის ასახავს საქართველოს ენერგეტიკული სისტემის ადეკვატურ განვითარებას, მომავლის დამაჯერებელი სცენარების შესაბამისად. მოიცავს პროექტებს 2023-დან 2033 წლის ჩათვლით. გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის მიზანია, მომავალი გარემოს წარმოდგენა, გაანალიზება და გაურკვევლობის შემცირება, რათა მოხდეს გაურკვევლობათა კომბინაციით მომავლის დამაჯერებელი ვერსიის მიღება და ერთიანი, სტრუქტურირებული, ხედვის შექმნა გადამცემი ქსელის განვითარების შესახებ. გადამცემი ქსელის განვითარება ითვალისწინებს ენერგოსისტემის გრძელვადიან პერსპექტივაში მომზადებას, რათა გენერაციისა და დატვირთვების გაზრდის შესაბამისად მოხდეს გადამცემი ქსელის გაძლიერება-გაფართოება-მოდერნიზაცია. ეს დოკუმენტი მოიცავს საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ყველა კომპონენტს. თუმცა მომავალ წლებში შესაძლოა სხვა პროექტების განხილვაც, რომლებიც ამ</p>
-----------	---	--

		<p>ათწლიან გეგმაში არ არის გათვალისწინებული. ამასთან, შესაძლოა ზოგიერთი პროექტის მოდიფიცირება, ვადების შემჭიდროება ან გადავადება. ეს ყველაფერი გათვალისწინებული იქნება საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის 2024-2034 წლების ვერსიაში. აღნიშნული დოკუმენტის მე-4 თავში “საწყისი ინფორმაცია ქსელის განვითარებისათვის” მოცემულია ინფორმაცია ცხრილი 4.4. პერსპექტიული ჰესები საპროგნოზო მონაცემებით, რომელშიც ასახულია ინფორმაცია ბაზვი 1, ბაზვი 2ა და ბაზვი 2ბ-ს დადგმული და გამომუშავებული სიმძლავრის შესახებ. - წყარო: <a href="https://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2023-2033_GEO.pdf">https://www.gse.com.ge/sw/static/file/TYNDP_GE-2023-2033_GEO.pdf</a></p>
20	<p>გზშ-ის ანგარიშის დასაწყისი გვერდები დანომრილია თანმიმდევრობით, თუმცა 14 გვერდიდან, შემდეგი გვერდების დანომვრა იწყება ისევ 1-დან</p>	<p>გათვალისწინებულია</p>
21	<p>გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ცხრილი (გვ. 10) საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ, თუმცა აღნიშნულ ნუსხაში მითითებულია ძალადაკარგულად გამოცხადებული კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რაც საჭიროებს საფუძვლიან გადამუშავებას;</p>	<p>აღნიშნული შენიშვნის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე მითითებულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით მომზადდა განახლებული ცხრილი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ - იხ. დანართი 14</p>